



დროება

ბამოლის ყოველ-ღამე ორშაბათს ვარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე... ცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე...
„Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.“
ცაღკე ნომერი «დროებისა» ღამს 5 კაპიკი.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე;
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე
შეცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисѣ, въ Редак-
цію „Дроба“.
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—
8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—
6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4
მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

„დროების“ ფასი ნოემბრის 1-დამ წლის დამლევაძვე 2 მანათი.

ბიორბი ამბობენ კი ვარკთელი გულითადის მწუხარებით აუწ-
ყებს ნათესავთა და ნაცნობთა თვისის მეუღლის ოლიმპიადას გარ-
დაცვალებას და სთხოვს მათ დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენება-
ზედ კვირას, ნოემბრის 4-ს, ქ. მუთაისს, ორ-პირის ქუჩაზე, თ. ნიქა-
რადის სახლებში.

არწრუნისაშული თეატრი
გვირას ნოემბრის 4-ს.
ქართული დრამატული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება:
I
პირველად.
ბედი მართალთა
ღრამა 5-ს მოქმედებად. თხზულე-
ბა ბ. იაკობიძისა.
II
ბუტიაობა.
მოდელი თავ. აკ. წერეთლისა.
აღიღების ფასი ჩვეულებრივი
დასაწყისი 7 1/2 საათზედ.

თბილისი, ნოემბრის 3 ს.
ჩვენს გაზეთში, 23 ნოემბერს, ერთი
ფრთხილ საყურადღებო კორესპონდენ-
ცია იყო დაბეჭდილი. თუმცა ის ამ-
ბავი, რომელსაც გვაუწყებდა ხსენე-
ბული კორესპონდენცია, ახალი არ
არის, თუმცა არც ჩვენა გვაქვს ახალი
რამე სათქმელი იმ კორესპონდენციის
გამოისობით, მაგრამ ჩვენ მაინც ვალ-
დებულად ვრაცხთ ჩვენს თავს განსა-
კუთრებით ყურადღება მივაქციოთ
მკითხველებისა იმ კორესპონდენციის
შინაარსსა და მასში გამოხატულის სუ-
რათის მნიშვნელობაზე.
ღიალ, ახალი არა არის-რა იმ ამ-
ბავში, რომ შავი ბედისგან გავერანე-
ბულ შავი ზღვის ნაპირებზე ვერ სძლე-
ბენ სხვა-და-სხვა შორ ქვეყნებიდან
გადმოსახლებულნი ხალხნი. ეს მოე-


„დროების“ ძელტონი, ნოემბ. 3-ს
ხმის ბერი
გოჩა.
(მოთხრობა *)
როდესაც ოსებისგან მოიცალეს,
ზოჩა ისევ ჩაფიქრდა, და წყნარად და
დამშვიდებით წარმოსთქვა:
— მოიყვანეთ ბუგუა.
რამდენიმე კაცი მიუახლოვდა ბუ-
გუს, გაუხსნეს ხელები და წინ წა-
ყენეს. პირველსავე განძრევასზედ მო-
ხევეს თვალთ-დაუბნელდა, წატორტ-
მანდა, წაიბარბაცა, მაგრამ მაშინვე
თავი შეიმავრა და შედგა.
ბრალდებული ბუგუა მთლად გა-
ფითრებული და პირ-გამშრალი იდგა
ხალხის წინ და უაზროდ თვალები
ერთის ადგილისკენ მიექცია.
ხალხი სწყევლიდა, ლანძღამდა და
ერთმანეთს თითოთ უჩვენებდ ამ
ავაზაკზედ. როგორც წელან, ეხლაც
გამოვიდა ერთი თემის თავთავანი
და შეუდგა ბუგუს გამტყუნებას.
აღმოჩნდა, რომ როდესაც მტერი
მოხვევთა ბინაზედ იერიშით მოდიო-

და, ბუგუა მათ წინ მოუძლოდა და,
უქვევლია, ნუგზარის ჯარს გზას უჩ-
ვენებდა.
— მაიმართლე თავი, თუ შეგიძ-
ლიან,— უთხრა ზოჩამ და გახუმდა.
ბუგუამ ამოიხვნეშა, მოავლო იქა-
ურობას თვალები და ონისე, რომე-
ლიც ისევ იმ ადგილზედ გაქვავებულ-
სავით იდგა, დაინახა. ბუგუს თვა-
ლები გაუბრწყინდა, პირის-სახე გაუ-
წითლდა, გაიბოძლა იმისაკენ, და-
ტორტმანდა და თავი შეიმავრა. ბუ-
გუა მობრუნდა მსაჯულებისკენ და
მწუხარებისგან დაღრეჯილი სახე შეაქ-
ცია. ბოლოს მოიგლიჯა ქუდი, რო-
მელიც თითქოს თავსა სწვამდა და
დღემიწაზედ დახეტქა.
— სოქე, თუ სათქმელი რამე
გაქვს?— მაიმეორა ზოჩამ და ხმამ მხო-
ლოდ ერთს ადგილას ულალატა, ერთ-
გან გაისმა დანქარეულის სიმაღ.
— რაი ესთქვა, რაი გითხრათ?..
მწარედ წარმოსთქვა ბუგუამ:— უფალ-
მა იცის, რომ დამნაშავე არა ვარ,
მაგრამ მტერის წინ მომძლოლი მნა-
ხეს და ვინ დამიჯერებს... რაისთვი-
ლა მაწვალებთ, რაისთვი მალაპარაკებთ?..
მომკალით და თქვენც მოისვენებთ!
— ბალო, სიკვდილი ძნელი არაა...

ლენა ჩვენ დიდი ხანია გავცანო იმ
საშინელო და ულომობელო ციებ-
ციხელებამ, რომელიც რამოდენიმე
წლის განმავლობაში ისე ჰხოცდა იქ
დაყენებულ და დაბინავებულ ჯარს,
როგორც ვერ შეიძლებდა მათ დახო-
ცვას ვერავითარი მტრის ზარბაზნები
და მსწრაფლ-მსროლი თოფები.
მხოლოდ ეს დიდი ხნიდან ცნო-
ბილი ჭაქტი, რომლის ბუნებრივი მი-
ზეზები და აუცილებლობა საეჭვო ჩვენ-
თვის არასოდეს არ იყო, დღეს ისე
აშკარად და ნათლად მტკიცდება, რომ
მისი უარ-ყოფა ახლა არც ერთს უმე-
ცარს არ შეუძლია, გარდა, რასაკვირ-
ველია, იმისთანა ბრმა და ყრუ კაცე-
ბისა, რომელთაც, თუმცა თვალები
და ყურებიც სალი აქვთ, მაგრამ უგუ-
ნურობით არ უნდათ არც რამე
დაინახონ და არც რამე გაიგონონ.
მართლაც, რა უნდა იყოს უკეთესი
საშუალება ამ ჭაქტის დამტკიცებისა,
როგორც არის ეს ამბავი: მთელი
ხალხი, განგებ იმისათვის ჩამოსული,
რომ გავერანებული ადგილები ისევ
გავეწინებინა და იქ დამკვიდრებულიყო
თავის და თავის შთამომავლობის სა-
ბედნიეროდ, რამოდენიმე ხნის შემდეგ
რწმუნდება, რომ უწყალო ბუნების
წინააღმდეგ ის ვერას ვარაგებს, და
უკან ბრუნდება თავის ქვეყანაში,
რომლის მიტოვებაზე ის აიძულა უმი-
წობამ, სილატაკემ და სიმშილმა.
სოტა სინუმის შემდეგ დაიწყო ისევ
ზოჩამ და ხმაში აღგზნებული სიყვი-
რული დაეტყო— მაგრამ გულს არა
სჯერა, რომ ხევის მიწა-წყლის კაცი,
ხევის ძუძუთი გაზდილი მოძმეთ ულა-
ლატებდა, ამხანაგთ გაჰყიდდა, მიწას
შეარყევდა და ცას ჩამოანგრევდა!..
ბული საშუღამოდ იკვნესებს, სევდა
არ დაეღვეის, ნისლს ველარ გაიც-
ლის, თუ მართლა მოძმეთ გამსყიდა-
ვად გიცნო.
ბუგუს ამ სიტყვებმა გული მო-
უღობა, იმან დაინახა, რომ მოხუცის
გული მშობლიურის მზრუნველობით
ექცეოდა და გულით უნდოდა პატი-
ოსნებით საესე კაცი მაინც დაერწმუ-
ნებინა, რომ მართალი იყო.
— ზოჩავ, უფლის მადლმა, დიდე-
ბულის წვერის სპარსანგელოზის მადლ-
მა, ვფიცავ ყმაწვილ-კაცობის სიყმეს,
ვფიცავ შენს სახელსაც, რომ დამნა-
შავე არა ვარ, მაგრამ თავს ვერაფე-
რით ვიმართლებ და უნდა დავისაჯო,
უნდა მოგვედგე.
— მტრის ჯარში საიდგან გან-
დი?
— საიდგან?.. ბინდა ყველაფერი
მათქმეინო?.. თავი დამანებე, ზო-
ჩავ!.. ნუ მალაპარაკებ!.. ხომ ხედავ,

ამისთანა ხალხთა რიცხვში არიან,
ბერძენიც, ბოლგარიელებიც და თვით
ნემცებიც, რომელთა კოლონიზაციუ-
რი ნიჭი ყველასაგან ცნობილი და
ალიარებულია. თუკი ვერც ამ ნემცებ-
მა ვარაგებს-რა ხსენებულ ადგილების
გაწინებაში, ეს ამტკიცებს იმას, რომ
ეს საქმე მართლა რომ ძლიერ ძნელი
ყოფილა, რომ ამ საქმის შესრულე-
ბისათვის საჭიროა ბევრი მსხვერპლი
და დიდი საშუალება.
სწორედ ეს გარემოებაა, რომელ-
ზედაც გვირდა მივაქციოთ ჩვენი სა-
ზოგადოების ყურადღება. ჩვენ ვამ-
ბობთ— და ამის დამტკიცებაც არ არის
საჭირო, — რომ თუ მშართებლობას
ხსენებულ ადგილების გაწინებაში
აზრად აქვს მხოლოდ საერთო სახელ-
მწიფო სარგებლობა და ყველა ქვე-
შევრდომების კეთილ-დღეობა (რომ
ამისთანა მიზანი აქვს უმაღლესს მშარ-
თებლობას, ამაში ექვსაც ვერ შემო-
ვიტანთ ჩვენ), მაშინ ამ ადგილების
გაწინება და გამშენიერება შეიძლე-
ბა ძლიერ ადვილად და უმსხვერპ-
ლოდ.
ამისათვის საჭიროა, რომ ეს ადგი-
ლები დაურიგდეს ხალხს, რომელიც
გარშემო არტყია მათ და რომელიც
შეჩვეულია მათ ბუნებას. ამისთანა
ხალხს წარმოადგენენ მეგრელები, გუ-
რულები და იმერლები, რომელთა
საკუთრებასაც ოდესმე შეადგენდნ ის
ადგილები. აღძრულ კითხვის ვერე
რომ ლაპარაკი მიძნელდების?.. მო-
ველთვის გულ-კეთილს, დღეს ჩემი
წვალება რაისთვი-ლა მოგიწადინია?
— ჩემი გულიც არ არის მოსვენე-
ბული ბუგუსე, უწყის უფალმა!.. მო-
ველ სიტყვაზედ, ყოველ კითხვაზედ
ლახვარი მიტრიალებს გულში, მაგრამ
თემი და მისი საქმე შენზედაც დიდა
და ჩემზედაც... მამ გვითხარ ყველა-
ფერი.
— ბითხრათ?.. კარგი... წამოიძახა
მოხვევმ და საჩქაროდ მიბრუნდა იმ
მხარეს, სადაც ონისე იდგა.
საცოდავს სახე მთლად დაჰპრანჭო-
და და მიძმე ტვირთს თითქოს ოთხნად
მოეხარა. ბაყეთლებულს პირისახე-
ზედ სიცოცხლის ნატამალი აღარ ეტ-
ყობოდა. ბუგუა ისევ შესდგა, შეი-
მავრა თავი და მსაჯულებისკენ გამო-
ბრუნდა.
— მაიმეონეთ... სიკვდილისა არ
მეშინიან,— თუნდა გამამართლოთ კი-
დეც, ღობის მადლმა, თავს აღარ ვი-
ცოცხლებ. რაისთვი-ლა მინდა ერთ-
ხელ გაწილებული სიცოცხლე... მამ
გამიგონეთ... ყველას მართლს გეტ-
ყვით,— მე მთიდგან მოვიდიოდი და,
როდესაც ჩამოვივაკე, მტერს შევეფე-
თე... ბამოვიქეცე, რომ საფარში შე-

*) იხილე „დროება“ № 227.



გადაწყვეტას მოითხოვს სახელმწიფოს საერთო სარგებლობა.

ჩვენი ხალხის ისტორიული ბედი იმ გვარი იყო, რომ მისი უთვალავი და დაუძინებელი მტერნი ყოველის მხრით შემოერტყნენ მას და თან-და-თან იქამდე მიიღწიეს, რომ ყოველის მხრით კიდევანი ადგილები ჩამოაცალეს და ჩვენს ხალხს მხოლოდ შუა-გული ადგილი დარჩა. ხელში, მაგრამ არც აქ მოასვენეს მისმა მტრებმა. რომ ამისთანა მდგომარეობა არ გაგრძელდებოდა, ჩვენი ხალხი მიენდრო რუსეთის მფარველობას, რომლისაგან მოვლოდა და მოვლის კიდევაც კეთილ-დღეობას.

ამ მფარველობის ქვეშ კარგა ხანი დაჰყო ჩვენმა ხალხმა ისე, რომ გარეშე მტრებს არ შეურყევეთ მისი ცხოვრება. ამისთანა ცხოვრებამ ამ დროის განმავლობაში ჩვენი ხალხი, შემცირებული უწინდელი მტარვლებისაგან, ხელ-ახლად გაამრავლა და აღარ ეტყევა იმ მცირე ადგილზე, რომელზედაც მტარვლებმა ის შესჯგუფეს.

ამისთანა მდგომარეობაში ხალხს დროზე უნდა შეეღობა და ხელის შეწყობა. მიწის ნაკლებობა მაინცა-დამაინც საშიში მოვლენა არ არის იმისთანა ხალხისათვის, სადაც გავრცელებულია ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და სხვა-და-სხვა ხელობა. ჩვენს ხალხში კი მიწის ნაკლებობას ძლიერ ცუდი შედეგი ექნება, რადგან მას მიწის მუშაობას ვერა, არაფერი ხელობა არა აქვს შეთვისებული. ჩვენ რომ ის ვიფიქროთ, რომ ხალხი შეითვისებს აღებ-მიცემობას და ყოველ-გვარ ხელობას და ვუსადაოთ იმ დროს, როცა ამის გამო ხალხი ვეღარ იგრძნობს მიწის ნაკლებობას, ეს ძლიერ შორს წავა და შეიძლება ანგარიში გავვიტყუნდეს და მაგიერად ეს ანდა-

მა გავვიმართოდეს: «პეტრეს მოსვლამდე, პავლეს ტყავი გააძრესო». მფიქრობთ ვგრე იმიტომ, რომ ხალხში ნამდვილი სწავლა-განათლება ძლიერ ნელა ვრცელდება და კიდევ უფრო ნელა იცვლის ხალხი თავის ხასიათსა და თვისებას.

რადგან ნიშნები ცხადია, რომ ჩვენი ხალხი გრძობს მიწის ნაკლებობას და, რადგან ამ ნაკლებობის შევსება ამ ჟამად ადვილად შესაძლებელია, ჩვენი მოვალეობა მოითხოვს, რომ ახლავე შევუდგეთ ამ საქმის შესრულებას, მით უფრო რომ ეს იმისთანა აზრია, რომელიც თავის განხორციელებისათვის ბევრს დროს არ თხოვლობს. ამ აზრის სისრულეში მოყვანისათვის მხოლოდ მიუცილებელი საჭიროა მმართველობის ნება-რთვა და შემწეობა, რადგან ის ადგილები, რომელთა განაწილება ჩვენ უნდა ვითხოვოთ, ეკუთვნის ხაზინას.

რაც შეეხება იმ კითხვას, თუ ვინ იქნება ჩვენი შუამავალი მართველობასთან ამ საქმეში, ამის პასუხი ცხადია: ჩვენის საზოგადოების იურიდიული წარმომადგენელი მმართველობასთან ჯერ-ჯერობით მართლაც თავდაზნაურობის კრებებია. თავდაზნაურობას მით უფრო ეკუთვნის ამ საქმეში წინ-წაძღოლა, რომ ჩვენში მიწის ნაკლებობას გრძობს გლეხობის თანასწორად თავდაზნაურობაც. არა ქვეყანაში არ არიან ისე მცირე მემამულე აზნაურები, როგორც ჩვენში, განსაკუთრებით იმერეთისკენ. ამის დასამტკიცებლად საკმაოა აღნიშნოთ ის გარემოება, რომ თბილისი და სხვა ქალაქები საესეა ლაქიებით და სხვა მოსამსახურეებით, რომელნიც ეკუთვნიან იმერეთის აზნაურობას.

ამიტომ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი თავდაზნაურობის მომავალ მასის

კრებები გულ-მხურვალედ მიიღებენ ამ აზრს და მის სისრულეში მოყვანისათვის იზუამდგომლებენ მმართველობის წინაშე. ამისათვის საჭიროა, რომ ეს კითხვა, კომისიების შემწეობით, თუ სხვა საშუალებებით, რიგანად შეიმუშაოს თავად-აზნაურობამ, შეკრიბოს სტატისტიკური ცნობები შესახებ ჩვენის მეურნეობისა და თავის მოხსენებაში ცხადად აღნიშნოს და დაამტკიცოს ის გარემოება, რომ ჩვენი ხალხი მართლაც გრძობს მიწის ნაკლებობას და იმას შეუძლია მართლაც გააშენოს და გაამშენიეროს ის ადგილები, რომელთაც უსარგებლოდ ურიგებენ უცხო-ქვეყნელებს.

ჩვენი თავდაზნაურობის უკანასკნელ კრებებმა, რომელნიც მოხდენ 1882 წელს, ცხადად დაგვიმტკიცეს, რომ თავდაზნაურობამ კარგად შეიგნო თავისი მნიშვნელობა და მოვალეობა ქართველ საზოგადოებისადმი და ამის გამოისობით გულ-მოდგინდ ირკვევს საზოგადო საჭიროების და სარგებლობის კითხვებს და ამ კითხვების განხორციელებისათვის გულ-მოდგინდ ცდილობს.

თუ ამ საქმესაც, რომელსაც ჩვენ დღეს მას ვუკეთავთ, თავდაზნაურობამ გულ-მოდგინდ მოჰქიდა ხელი, მაშინ სრული იმედი გვაქვს, ჩვენის ხალხის ეკონომიური მდგომარეობის წარმატებისა.

თავდაზნაურობის ამ რიგს შუამდგომლობას დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან ყოველი ამისთანა აზრი, გამოთქმული მთელი თავად-აზნაურობის პირით, წარმოადგენს უკვდავ სახსოვარს, რომელიც უჩვენებს მომავალ თაობას, რომ აწინდელი ჩვენი თავდაზნაურობა მართლაც წარმომადგენელი იყო ჩვენი საზოგადოებისა, რომ იგი

გრძნობდა და ფიქრობდა ჩვენის საზოგადოებისათვის, რომ იგი ილტვოდა ჩვენის ხალხის სიკეთისადმი.

მ-ჭ-ხ-ლ-ქ.

შინაური მართობა

== იმ საგნის შესახებ, რომელზედაც გუშინ ვლაპარაკობდით ჩვენ, «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას» ჰქონია სხდომა გუშინ წინ საღამოს და გადაწყვეტა, რომ საჩივარი მიართვას ძავეკისის სწავლავანათლების მმართველს და სთხოვოს მას ნება-რთვა მისცეს სოფ. მცხეთასა და მაყაში სკოლების განხრისა.

თუ ბ. მმრთველმა არ შეიწყინა თხოვნა «წერა-კითხვის საზოგადოებისა», მაშინ, როგორც შეეცდეთ, იგი აპრობს შუამდგომლობას უმაღლესის მთავრობის წინაშე და თხოვნის გაგზავნას სენატის პირველ განყოფილებაში, რათა ამ უკანამქნელმა იურიდიულის მხრით განმარტოს და განსაზღვროს, შესაწყნარებელია თუ არა ის მოსაზრებანი და კანონის განმარტებანი, რომელიც სკოლების განხრის დამაბრკოლებელ მიზეზად ჩათვლია ბატ. თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს.

== ხვალ ჩვენი სათავტრო დასითამაშებს ახალს ორიგინალურს პიესას ახალის ავტორისას. პიესის სახელი არის «ბედი მართალთა» და წარმოადგენს დრამას 5 მოქმედებად.

== ჩვენ გვითხრეს, რომ ისტორიულის კომედიის «მასანის» ავტორს ბ. პ. შმიკაშვილს დაუწერია ახალი კომედია — «ჩარხი 2» მოქმედებად. ამ კომედიაში...

— სთქვი, რას ამბობდი?
— ბუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასაჯავთ... ბუგუას და მე მიზეზი გვაქვს ერთმანეთის მოსისხლენი შეეჭნილიყავით... მე მთიდან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოლაღატობას ტყუილად სწამობთ...
— მე ვიღამ ვიამბო? მართლად წამოიძახა ბუგუამ და ეჭვისაგან თვალები აწთო.
— ჩემის უფროთ გავიგონე... როდესაც შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ ჩასაფრებული... რაილა დავმალა?.. მოამეთ ცოდო მე მძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა!.. ბუგუა უბრალოა! ლაპარაკობდა გაჩქარებით და ალელვებით მისი და მთლად კანკალდება. მისი სიტყვები ხალხს მესხავით მოხვდა და ვაშტერებული შესტკეროდა.
ზარ დაცემული მოხუცი მთლად ცანცახებდა და კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო.
ბოლოს ძალზედ ამოიხენემა, მოისვა შუბლზედ ხელი და ყვედრებით წარმოთქვა:

მეტყობინებინა, მაგრამ მტერი ფეხ-და-ფეხ მომდევდა და ვეღარ მივასწარ... ისინი თოფს არ მესროდენ, რომ ხმაურობაზედ ჩვენი მდევარი არ გამოსულიყო და მე-კი თოფ ტიელას ჩახმახი მომეშალა... ჩვენებმა მტრის ჯართან დამინახეს და მოლაღატე განმადეს... თუ ესტყუოდე, მიწამც გამისკდეს და თან ჩამიტანოს.
— მთაში რაი გინდოდა? — ჰკითხა ერთმა მსაჯულთავანმა.
— საქმე მქონდა.
— მართლ იყავ?
ბუგუამ არა უპასუხა-რა და ამხითვის კითხვა გაუმერეს.
— მართლ იყავ?
მოხევევ გბრძოდა თავის გრძობას და არ უნდოდა იმ ქალის სახელი მოეყინებინა, რომელიც მაინც კიდევ ქვეყანას ერჩინა.
— რაი ბედენა მართლ ვიყავ, თუ არა. ბოლოს წარმოთქვა ბუგუამ და დაუმატა: — თქვენთვის იმის გამოკითხვა იყო საჭირო, რომ გავიღეთ თუ არა... მე გეუბნებით, რომ არ გამოვიდნხართ, არ მილაღატნია თქვენთვის, ჩემს ვაჩენაში გულშიაც არ გამივლია თქვენი წინააღმდეგობა; მოწამე ღმერთია!.. სხოს ნულარას მკით-

ხავთ, პასუხი არ მიშველის და სიკვდილის წინა წუთებს-კი მომიწამლავს!
ამის შემდეგ ბუგუა გაჩუმდა, დაიკრიფა გულ-ხელი და გაჩუმებული დადგა. შოველ კითხვაზედ ის მუნჯად ჩჩებოდა და მისი სიხუმე შმიძე ლოდლ აწებოდა მისსეს.
ხალხი გაჩუმებული იყო, და სულ გაკმენდილი ელოდა თემის მოთავეთა გადაწყვეტილებას, რომელნიც ბოჩას შემოხვეოდნენ. ძარგა ხანმა ვაიარა, ვიღრე მოთავენი ჩჩევაში იყენენ.
მრთბაშად ვაიშალა კრება, და მსმენელთ გულის ძვრამ უფრო იმატა. მოუთმენელობამ უკანასკნელს სამხედროამდის მიიღწია. შველამ თავ-თავისი ადგილი დაიჭირა და საერთო სიხუმის დროს წამოდაგა ბოჩა.
— ღმერთო, მოგვიტყევე, თუ ვცდებით რაშიმე!.. რაც შენ გვაგონე, იმას წარმოვსთქვამთ... ხვეის მმეილობიანობა მოიხხოვს, რომ ბუგუა გაწირული, მოშორებული იყვეს თემისგანაც, სოფლისგანაც და ნათესაობისაგანაც... მართლ იმის ცოდის ეძლევა ნება თან გაჰყვეს... ღმერთს შემდეგ, არც ვის არა აქვს ნება მას მიწოდოს ცეცხლი, თუ უცეცხლო-



ველობას ქვეშე, სანამ არ წინააღმდეგობა ბერძნის ჯარებს. " თუ კი ამ გვარი უფლება აღიარებულია ხმელეთზე, არც ზღვაზედ უნდა იქმნეს იგი უარ-ყოფილი, უმატებს დელაველს.

გერმანია. ქარგი სამკვლევო დახვედრა „რკინის გრაჭმა“ გერმანიის ახლოს რეისტავს: წარჩინებულმა წვერმა რეისტავისამ რიხტერმა გამოიანგა რიმა, რომ ახლოს ბიუჯეტში, რომელიც მოკლეს ხანში იქმნება წარდგენილი პარლამენტში, აღრიცხულია 32 მილ. მარკადეფიციტი. ახალი რეისტავი უნდა ეცადოს, რასაკვირველია, ამ დეფიციტის შეესებას და ამისათვის ისეც ილაჯ-გაწყვეტილს ნემცებს სხვა-და-სხვა გადასახადებითა კიდე დაადვას ახალი გადასახადი.

ბაქო. ნავთის მწარმოებელთა კრებამ თითქმის ერთხმად გადასწყვიტა, წვრილ მექარხნების დათანხმებითაც კი, შემოდებულ იქმნას სავალდებულოდ ისეთი ნავთის წარმოება, რომლის ასანთებლად უმცირესი ტემპერატურა იყოს 250 ცელსისა; სხდომანი კრებისა განცხადებულნი არიან და ხაღბნი ბლომად ესწრობა. ნობელი კრებაში არ იდებს მომარტოებას.

პარიში. ოქტომბრის 28-ს მოკვდა ხოლოერისაგან 87 და გუშინ სადამოს 6 საათამდე — 43 კაცი.

კონსტანტინოპოლი. ოდესიდან აქ მოსული გემები ვალდებულნი არიან ხუთი დღის მაგიერ, ათი დღე იყვნენ კარანტინში, ხოლო სევასტოპოლიდან მოსულნი — ხუთი დღე.

ნოემბრის 2-ს.

პეტერბურგი. ს.-პეტერბურგის უწყებებს გაუგონია, რომ მომავლის წლიდან შემოდებულ იქნება ახალი წესი იმ ფულის განაწილებისა, რომელიც გადადებულ იქმნა მამულების შესყიდვის გარდასახადის შესამკირებლად.

იმავე წესის ძალით დადგენილ იქმნა: სადესეტინო შესყიდული გარდასახადი არ უნდა იყოს უმეტეს შემკირებელი, ვიდრე ის სადესეტინო გადასახადი, რომელსაც იხდიან ასლო-მანლო სოფლებში სახაზინო გლენი. წინააღმდეგს შემთხვევაში გუბერნატორი და სახაზინო პალატის გამგებელი შეასწორებენ გაწერის სიებს სამაზრო კრებათა და სავოგადოდ უველა უწესობას გაწერის შესახებ შეატუობინებს მთავარს შესასყიდავს დაწესებულებს; იმ შემთხვევაში, თუ მართლა საჭიროება მოითხოვს მომარტებულ იქმნას შესამკირებელი გარდასახადი, გუბერნატორი ცალკე ქაღალდს ჰგზავნის.

პარიში. ჭერიმ წაიკითხა მინისტრთა საბჭოში დეპუტები, რომლებშიაც ეწერა, რომ გორდონი მოკლულ იქმნა, როცა იგი გზად მიდიოდა ხართუმიდამ ბერბერსა.

ბერნი. სახლოერო კომისიამ განკარგულება მოახდინა, რომ ექიმებმა გამინჯონ და გადმოსწან ხოლომე სამდვარზედ უველა პარიკიდვან მომავალი პასაჟირები.

პარიში. ოქტომბრის 31-ს მოკვდა ხოლოერისაგან 81. და გუშინ სადამოს ექვს საამთდე 58 კაცი.

მანრი. გორდონმა გამართა ომი მაჭდისთან ონდერმანის ახლოს,

რომლის შემდეგ მაჭდომ დაწია ხართუმის ჩრდილოდ; ქალაქი კი მაინც წინანდებულად შემოზდუდელია მეამბოხეებით.

ლონდონი. ჭიკმორისმა სტევა საზოგადოებათა პალატაში, რომ მაინს საფრანგეთის კონსულისაგან მოსული ხმა ხართუმის აღებასა და ბორდონის სიკედილზედ უთუოდ განმორებაა წინადე უარ-ყოფილის ხმებისა. პალატამ გარდასწყვიტა კრედიტი ნილის ექსპედიციისათვის, ამასთან ბარდინგონმა გამოაცხადა, რომ აზრი ექსპედიციის ბორდონის განთავისუფლებად; მაგრამ შევსლეის არ აღეკრძალება ხართუმში მკვიდრი წესები შემოილოს. ბორდონი თავის ქალაღებში, აგვისტოს გასულს, აშობს, რომ სურსათი ხუთი თვის საკმარისი კიდევ მაქვს.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ. ნიპკმიშვი ამით აცხადებს, რომ ქობილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ლამამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამიბაი:

არშთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

პორნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიშ-ფარსა ღანოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბაბიბაი:

ვილჩაქოვისა, სამშაბათობით.

ბაბინოვისა, ორშაბათობით, და პარასკევობით.

სტაფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოკოვისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი შური რუ-სეთის ფქვილისა — 1 გირ. 5 კ.

აჭაურის ფქვილისა: შირკელის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2

მეორისა — 1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თხრქეში გამომცხვარი: შირკელი ხარისხისა — 1 გ. 4 1/2

მეორისა — 1 გ. 3 კ.

მესამისა — 1 გ. 2 1/2

ჟვარის-მაში შური:

შირკელი ხარის. ლავაში 1 გ. 4 1/2

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3 1/2

მესამისა — 1 გ. 3 კ.

ძრახის ხარცდი:

შირკელის ხარისხისა — 1 გ. 7 კ.

მეორისა — 1 გ. 6 კ.

სუგია
 ცხვრის ხარცდი — 1 გ. 7 კ.
 ღორის ხარცდი: — — — 1 გ. 6 კ.

რკინის გზა
 თბილისიდან ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით თბილისიდან მარტო სამურხაშდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით სანქტო 10 ს. 58 წ. დამ.)
 ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით. ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. დამით. მარტო სამურხაშდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და შარსკეკობით სანქტო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

პატივის ცემით ვაცნობებთ საზოგადოებას, რომ საგემო კამპანია MESSAGERIES MARITIMES-სამ გადმოცეცა ჩვენ უმთავრესი სააგენტო ბათუმში და ამისათვის უმოჩინოვსად ესთხოვთ გასაგზავნ თუ მისაღებ საქონლების პატრონთ ამიერიდამ მოპმართონ ჩვენს კანტორას.

ელმარს-ბუჩარაღბ და კამ. (5-4)

ბამოვიდა და ისეიდვა
ალისო
 მოთხრობა ჩენკეთ ცხვრებიდვან თხზულება
 ა. მ. მოჩნებარძისა.
 ფასი 25 კაპ.

ისეიდვა თბილისში: გრაქურავის წიგნების მალაზიაში და აწწრუნისეულს სათეატრო კასში.

თეატრებსა და ამ მოკლე ხანში გამოკა ამავე ავტორის თხზულებანი:

ელმუჟა, ისტორიული მოთხრობა. არსნა, დრამა 3-ს მოქმედებად. დილა ქორწილის შემდეგ, ვოდ. 1-ს მოქმედებად და „თხზულებანი“ შირკელის ტომის, შირკელი ნაწილი. (20-8)